ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 19
(11 578)

12 – 14 მარტი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ორი ტურით ადრე

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება საქართველოს 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა პირველობა, რომელიც ამავე დროს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირიცაა. შეჯიბრების დებულების თანახმად, პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს, ხოლო მეორე ადგილზე გასულს ევროპის პირველობაში გამოსვლის უფლება ეძლევა. გოგონათა ტურნირში 40 მოჭადრაკე ასპარეზობს, ჭაბუკებში – 66. 7 ტურის შემდეგ, გოგონათა ტურნირში ოთხი ლიდერია – 5,5-5,5 ქულა აქვთ ბელა ხოტენაშვილს (თელავი), მაკა ფურცელაძეს (გურჯაანი), თეონა ღურჭუმელიძეს, სალომე ხაჟომიას (ორივე – თბილისი). მერვე ტურში ხოტენაშვილი თეთრი ფიგურებით ეთამაშება ფურცელაძეს, ხოლო ღურჭუმელიძე – ხაჟომიას.

ჭაბუკთა შორის 6 ქულით დაწინაურდა გაიოზ ნიგალიძე (ბათუმი). ლიდერს 0,5-0,5 ქულით ჩამორჩებიან: თორნიკე სანიკიძე (თბილისი), რომეო ჩიტაძე (თბილისი), დავით ჯოჯუა (სამტრედია), ვახტანგ ხიზანიშვილი (თბილისი) და შოთა აზალაძე (თბილისი). დღეს ნიგალაძე თეთრი ფიგურებით ეთამაშება სანიკიძეს. მათ გარდა, ლიდერთა ჯგუფში ერთმანეთს ხვდებიან ჩიტაძე-ჯოჯუა, ხიზანიშვილი-აზალაძე.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ტარდება და ხვალ, 13 მარტს დასრულდება.

თენგიზ ჩობანიძე

## ბლატერს აღარ ღევნიან

**ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, არ აწარმოოს გამოძიება ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან დაკავშირებით ქრთამის აღება-მიცემის თაობაზე.**



გახსოვთ, ალბათ, გასულ კვირაში, სომალის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერს წაუყენეს ბრალდება, თითქოს ფიფას პრეზიდენტად მის ასარჩევად 1998 წელს ქრთამად მილიონობით დოლარი გაიღეს.

ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა სომალელ კოლეგებს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს საკითხი 1999 წელს განიხილეს და ქრთამის აღებ-მიცემობის არანაირი ფაქტი არ დადასტურდა იურიდიულად.

თვით იოზეფ ბლატერის განმარტებით, მას „ძირს უთხრის" უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, რომლის წინააღმდეგაც ფიფას საგანგებო კონგრესის მოწვევასაც აპირებს, თუკი ევროპული საფეხბურთო კავშირის თავკაცი არ შეწყვეტს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შორის კონფრონტაციის ესკალირებას.

„აქ საუბარია ჩემს დისკრედიტაციაზე, – ფედერაციებს შორის საქმიანი და ჯანსაღი ურთიერთობა უნდა იყოს" – ამბობს ბლატერი.




5




## ჟიული შარტავას მემორიალი



საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი კრივში – თბილისის ღია პირველობა. წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს: კარლო ტაბაღუა (48 კგ), სერგო ვარტიკიანი (51), ლაშა უღრელიძე (57), დათო გურგენიძე (60), ტარიელ ზანდუკელი (63), ნიკო კაპანაძე (67), ლევან შონია (71), ლაშა დუნდუა (75), ნიკა ტაკაშვილი (81), დათო დუნდუა (91), დათო ავალიანი (პლუს 91).

ტურნირის ორგანიზატორია თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური.

*სურათზე: უტევს ტარიელ ზანდუკელი (მარჯვნივ).*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*

## იტალიელთა პრიზები გელდიაშვილის მემორიალზე

გუშინ...

ქართველი მთამსვლელი ირაკლი გელდიაშვილი, წლეულს, 11 მარტს, 54 წლისა გახდებოდა. 1994 წლის თებერვალში, გელდიაშვილი და კიდევ 5 მთამსვლელი, „უშბას" დალაშქვრის დროს დაიღუპნენ.

ტრადიციულად ი. გელდიაშვილის მემორიალი, მის დაბადების დღეს, 11 მარტს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტდარბაზში, ხელოვნურ რელიეფზე იმართება. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობდა 17 ვაჟი და 7 ქალი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ვაჟთა შორის, 2002 წლის პირველ სტარტზე საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალგზის პრიზიორი და გამარჯვებული ზაზა გურჩიანი, შემდეგ მოდიან: ავთო ქურასბედიანი, გურამ გაზდელიანი და ვალერი ფერაძე.

ქალთა შორის ასევე გამოცდილმა მეკლდეურმა, სსრკ და საქართველოს პირველობების მრავალგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა ეკა ჭკადუამ გაიმარჯვა. ოთხეულში 15 წლის თაკო დიდებულიძე, გამოცდილი ნინო ჩარკვიანი და ასევე 15 წლის სოფო ნაცვლიშვილი მოხვდნენ.

შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეკლდეურობის ფედერაცია და საქართველოს მოყვარულთა კავშირი. გამარჯვებულთათვის პრიზები ქართველ კოლეგებს იტალიის ალპურმა კლუბმა გამოუგზავნა.

გამარჯვებულთაგან და პრიზიორთაგან დაკომპლექტდება ნაკრები, რომელიც, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს, ეკატერინბურგში მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე საასპარეზოდ გაემგზავრება.

თამუნა ჯიშკარიანი

## არა სენსაცია, არამედ ფაქტი...

ახმეტელი მძლეოსნები უკვე ღირსეულ მეტოქეობას უწევენ თვით თბილისის პირველ გუნდსაც კი. იკავებს რა მეორე ადგილს I ჯგუფში, ახმეტელები ქულათა სოლიდური სხვაობით უკან იტოვებენ ქუთაისის, თბილისის მეორე ნაკრების, ფოთის, აჭარის, თბილისის მესამე გუნდის და ა.შ. წარმომადგენლებს. ახმეტელთა წარმატება და იქაურ მწვრთნელთა გარჯა, რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერა უდავოდ მისასალმებელია. თუ ასეთი მონდომება გაგრძელდება, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს რუკაზე კრიმინალურმა პანკისის ხეობამ კი არა, მძლეოსნურმა ახმეტამ მიიპყროს საყოველთაო ყურადღება. ნეტამც! (იხ. მე-2 გვ.)



## ნბა

ორლანდო – ტორონტო

6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ATП-ს ახალი რეიტინგი ვაჟ ჩოგბურთელთათვის

1 (1) ტომას იუჰანსონი (შვედეთი) – 237
2-3 (2-3) მარატ საფინი (რუსეთი) იირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — 148
4-5 (4-5) ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 112
6 (9) ენდი როდიკი (აშშ) — 111
7 (6) იუნეს აინაუი (მაროკო) — 109
8 (7) ტომი ჰაასი (გერმანია) — 108
9 (8) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) – 106
10 (19) დავიდე სანგინეტი (იტალია) – 94.

### გაიქეცი ნესტა, გაიქეცი

საფეხბურთო კლუბ „რომას" ნახევარმცველმა ფრანჩესკო ტოტიმ „ლაციოს" კაპიტანს ალესანდრო ნესტას თავისი კლუბის დატოვება ურჩია.




„მისთვის მძიმე იქნება დარჩენა „ლაციოში" მას შემდეგ, რაც მან ქალაქურ დერბიში ჩაიდინა, – განაცხადა ტოტიმ, – ნესტა ჩემი მეგობარია, როცა მას პირველ ტაიმში სახეზე შევხედე, მივხვდი, რომ უმჯობესია, კარიერა სხვა კლუბში გააგრძელოს".

ტოტის სიტყვებში სიმართლე ნამდვილად არის. „ლაციო" „რომასთან" ქალაქური დერბის 70-იან ისტორიაში პირველად დამარცხდა ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით (1-5) და ამაში მთავარი დამნაშავე სწორედ კაპიტანი აღმოჩნდა.

### ოლიმპიური ისტერია გრძელდება

რუსმა ბიზნესმენმა ანტონ ბაკოვმა გადაწყვიტა, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა იმ სპორტსმენების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც მედლების ჩამორთმევით იყო გამოწვეული. მან სუფთა ოქროსგან ჩამოასხა ოლიმპიური მედლის მოდელი (რომელიც ღირებულებით მართლაც აღემატება ოლიმპიურ ოქროს მედალს) და, გადასცა ფიგურისტ ირინა სლუცკაიას, რომელსაც სოლტ-ლეიკ-სიტიში გამარჯვება არ ჩაუთვალეს.

### კლუბებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი 2005 წელს გაიმართება

შარშანდელ ზაფხულში კლუბებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ჩაშლასთან დაკავშირებული სკანდალის ისტორია, როგორც იქნა, დასრულდა. ფიფას გადაწყვეტილებით, ეს ტურნირი 2005 წელს ჩატარდება. შარშანდელი ჩემპიონატის ჩაშლის მიზეზი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომერციული პარტნიორის LSL-ის გაკოტრება გახდა. გარდა ამისა, ფიფას შარშანდელ კალენდარში ჩემპიონატი არ „თავსდებოდა" და მისთვის შესაფერისი ადგილი 2005 წლის კალენდარში გამოინახა.



ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 5 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 11 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

# ლაზუტინა ოლიმპიური ოქროს მედლის მიღებას სასამართლო პროცესით აპირებს

„რუსი მოთხილამურისთვის – ლარისა ლაზუტინასათვის სოლტ-ლეიკ-სიტში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლის ჩამორთმევის საკითხს ლოზანას სასამართლო განიხილავს", – განაცხადა რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა ჟურნალისტებთან სპორტსმენის მიერ დოპინგის გამოყენება-არგამოყენების საკითხზე საუბრის დროს.

„თავად ლაზუტინა მეუბნებოდა, რომ ის იყენებდა არა დოპინგის პრეპარატებს, არამედ აღმდგენელ საშუალებებს, რაც აუცილებელია ყველა სპორტსმენისათვის, რომლებიც მძიმე დატვირთვას ილებენ" – თქვა ტიაგაჩევმა. მისივე სიტყვებს თუ დავუჯერებთ, ლარისა ლაზუტინას ადვოკატები დარწმუნებულნი არიან, რომ სასამართლო პროცესს მოიგებენ.

# *ფედერაციის ყრილობა*

*2002 წლის 19 აპრილს, 13 საათზე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.*



*დღის წესრიგშია ერთი საკითხი:*
***ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის არჩევნები.***

*ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე არჩევნებში კენჭისყრის მსურველებმა შესაბამისი განცხადება ფედერაციაში უნდა წარადგინონ 31 მარტის ჩათვლით.*

*ფედერაციის პრეზიდიუმი*

**სამთომეთხილამურეობა | საქართველოს პირველობა**

# ბაკურიანში ტრასა გაცოცხლდა

ეს ასპარეზობა ახლახან გაიმართა ბაკურიანში. პროგრამაში იყო სუპერ-გიგანტი. შეჯიბრება დაემთხვა სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის 40 წლისთავს, რომელიც 1962 წელს ჩატარდა ბაკურიანში. მაშინ ზამთრის სპარტაკიადის ოქროს მედლები მოიპოვეს ლიანა გოგოლაძემ, ნათელა ფალიანმა, კობა წაქაძემ, იბრაჰიმ ჯანგობეგოვმა, ბორის კახიანმა. ლიანა გოგოლაძის გარდაცვალების შემდეგ ტრადიციულად ტარდება მისი ხსოვნის პრიზის გათამაშება. ახლანდელი ასპარეზობის პირველი დღე სწორედ ამ პრიზის გათამაშებას დაეთმო. სპონსორი ლ. გოგოლაძის ოჯახთან ერთად იყო „კასტელ-საქართველოს" გენერალური დირექტორი ჟან ჟაკ დ7ანი.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ტრასის სიგრძე 1000 მ. კარი — 27. 1991-92 წლებში დაბადებულთა ასპარეზობა. გოგონები:*** ნუცა გამცემლიძე („კოხტა-კუდემი") — 1.10,85, ხატია გვარამაძე — 1.20,5, ნინო მეტრეველი (ორივე — ბაკურიანი) — 1.43,25; ***ბიჭები:*** კოტე ვახტანგიშვილი — 57,81, დავით გავა — 1.08,72, ილია მღებრიშვილი (სამივე — ბაკურიანი) — 1.08,86 ***1993-94 წლიანები. გოგონები:*** თამარ ბაქრაძე — 1.31,63, ირინა აფულავა — 1.35,23, სუსანა გავა (სამივე — ბაკურიანი) — 1.45,25; ***ბიჭები:*** ჯაბა გელაშვილი — 59,56, ზურაბ ბაქრაძე — 1.05,41, დათო თედიაშვილი — (სამივე — ბაკურიანი) — 1.08,76.

მეორე დღეს საქართველოს პირველობა გათამაშდა „ბაკურიანის თასზე". იგივე სახეობა, იგივე ტრასა (მხოლოდ ორი კარით ნაკლები). შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ფირმა „ყაზბეგი", მთავარი მსაჯი — გოგი თოფაძე (უმცროსი). ***1991-92 წ.წ. გოგონები:*** ნუცა გამცემლიძე — 1.04,30, ნინო ნინუა („იკი-სკი") — 1.10,06, ხატია გვარამაძე — 1.14,02; ***ბიჭები:*** კოტე ვახტანგიშვილი — 56,07, ირაკლი კიკნაძე (ბაკურიანი) — 57,35, ილია მღებრიშვილი — 1.00,55; ***1993-94 წ.წ. გოგონები:*** თამარ ბაქრაძე — 1.28,88, სუსანა გავა (ორივე — ბაკურიანი) — 1.31,81, დანარჩენებმა ტრასა ვერ დაამთავრეს; ***ბიჭები:*** ჯაბა გელაშვილი — 55,15 (საორიენტაციო დრო), გიორგი გელაშვილი (ბაკურიანი) — 1.01,66, ზურაბ ბაქრაძე — 1.03,03.



*აჯილდოებს ჟან ჟაკ დ'ანი.*



*მარცხნიდან: დავით გავა, კოტე ვახტანგიშვილი, ილია მღებრიშვილი*

პირველობა კარგად იყო ორგანიზებული.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" საკ. კორ. ბაკურიანი.

*ავტორის ფოტოები.*

# «დედის დღისადმი», სწრაფ ჭადრაკში...

საჭადრაკო კლუბ „მაესტროში" ჩატარდა „დედის დღისადმი" მიძღვნილი ტურნირი სწრაფ ჭადრაკში საერთაშორისო და ეროვნული ოსტატების მონაწილეობით. ადგილები განაწილდა ასე: 1. სოფიკო ხუხაშვილი (თბ) – 6,5 ქ. 2. ნანა ძაგნიძე (ქუთ) – 6, 3. ნათია ჯანჯღავა (თბ) – 5 (სამივე საერთაშორისო ოსტატია).

ტურნირი ჩაატარა თბილისის მერიის განათლების განყოფილებამ (ე. მაჩაიძე). ასპარეზობა ტრადიციული გახდება.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მძლეოსნობა: ზამთრის ეროვნული ჩემპიონატი. მძლეოსნობის სასახლე. თბილისი, 8-9 მარტი.**

***ქალები. 60 მ:*** აიდა ტოროსიანი (თბ) — 7,7, გვანცა ჯოჯუა (მცხ) — 7,8, მარიამ ინაშვილი (თბ) — 7,9; ***200 მ:*** აიდა ტოროსიანი — 26,3, ეკატერინე ტყემალაძე (ოზურგ) — 26,4, მარიამ ინაშვილი — 26,5; ***400 მ:*** თამუნა ესებუა (თბ) — 59,9; ეკატერინე ტყემალაძე (ოზ) — 59,6, ქეთინო კუპატაძე (აჭ) — 1.08,3; ***800 მ:*** ნინო თათრულაიძე — 2,29,5, ნანა გუთანაიძე (ორივე — ახმეტა) — 2.38,3, სოფო რევაზიშვილი (ბორჯ) — 2.42,8; ***1500 მ:*** სოფიო ლაბაძე (ახალც) — 5.03,8, ნინო თათრულაიძე — 5.06,5, ნანა გუთანაიძე — 5.20,2; ***3000 მ:*** სოფიო ლაბაძე — 11.07,4, თამარ გუთანაიძე (ახმეტა) — 11.22,2, ნანა შერაზადაშვილი (ახმეტ) — 11.56,6; ***5000 მ:*** მარი გუთანაიძე — 20.18,4, ნანა შერაზადაშვილი — 21,14,9, თამარ გუთანაიძე (სამივე — ახმეტა) — 21.48,2. ***60 მ. თარჯრბენი:*** მარიამ ინაშვილი — 9,4, ეკატერინე ტყემალაძე — 9,4, დიანა ქადანი (ბორჯ) — 11,5. ***ბირთვი:*** მარიამ ქევხიშვილი (გარდ) — 12,57, ნინო ელიზბარაშვილი — 11,02, მარინა ნიკოლაიშვილი (ორივე — თბ) — 9,98. ***სიგრძე:*** ნათია ჯანელიძე (თბ) — 5,35, გვანცა ჯოჯუა (მცხ) — 5,09, ირინა ხოროშევა (თბ) — 4,79; ***4X200:*** მარიკა ინაშვილი, თამუნა ესებუა, იულია დუბინა, აიდა ტოროსიანი (თბ) — 1,50,1, ანა მანჯგალაძე, სოფო მაჭავარიანი, ქეთინო ბერიძე, ლიკა დვალიშვილი (თბ) — 2.02,2, მარინა ჯააძე, ნინო თათრულაიძე, ეთერი ჯამრულიძე, ნანა გუთანაიძე (ახმ) — 2.02,3; ***სიმაღლე:*** ია დარახველიძე (თბ) — 1.70; ***სამხტომი:*** იულია დუბინა — 11,98, ირინა ხოროშევა (ორივე — თბ) — 11,18.



*რობერტ ბაღოიანის ფოტო*

***ვაჟები: 60 მ:*** კახა ვაჩეიშვილი (აჭ) — 6,8, ირაკლი ნიავაძე, (რუსთ) — 7,0, დავით ცუცქირიძე (ბორჯ) — 7,1; ***200 მ:*** კახა ვაჩეიშვილი — 22,8, გოჩა ჩხაპელია (თბ) — 22,9, დავით ილარიანი (გარდ) — 22,9, ***400 მ:*** გოჩა ჩხაპელია — 51,1, ზურაბ წერეთელი — 51,5, ამირან კირვალიძე (სამივე — თბ) — 55,0; ***800 მ:*** ანდრო მეტრეველი (თბ) — 2.01,2, დავით გილაშვილი (საგარ) — 2.04,0, იგორ ქაბინი (ახალც) — 2.05,4; ***1500 მ:*** ანდრო მეტრეველი (თბ) — 4.18,0, ირაკლი ჯააძე (ახმ) — 4.18,6, დავით გილაშვილი — 4.19,0; ***3000 მ:*** ჰამლეტი მამიკონიანი (თბ) — 9.12,2, ირაკლი ჯააძე — 9.18,7, ჯეირან ხოფერია (ფოთი) — 9.31,4; ***5000 მ:*** ზიგიზმუნდ ზილბერშტეინი (ახალც) — 15.36,6, ჰამლეტ მამიკონიანი — 15.52,2; ***60 მ თარჯრბენი:*** სერგო ტურიაშკო (ქუთ) — 7,8, გიორგი გვიჩია — 9,0, გიორგი გურგენაძე (ორივე — ფოთი) — 9,1. ***4X200 მ:*** ბაიკევი, წერეთელი, კირვალიძე, ჩხაპელია (თბ) — 1.35,8, ვაჩეიშვილი, მიშველიანი, პატარაია, ჯაფარიძე (აჭ) — 1.39,1, ტურიაშკო, სანაია, მახარაძე, გიორბელიძე (ქუთ) — 1.4,2. ***სიმაღლე:*** პაატა ჩოხელი (გარდ) — 175, დავით ძირტკბილაშვილი — 160, ირაკლი კაბერაშვილი (ორივე — ქართლი) — 160, ***ბირთვი:*** მამუკა ტუღუში (ოზურგ) — 14,89, ზურაბ გიგაია (მარტ) — 14,58, გივი ჩიბურდანიძე (ქუთ) — 13,00; ***სიგრძე:*** გიორგი ამირანაშვილი (თბ) — 6,31, მამუკა ფაჩულია (ფოთი) — 6,06, შალვა პატარაია — 6,00; ***სამხტომი:*** სერგო ტურიაშკო — 14,26, ბექა დანელია (მარტ) — 13,67, ვასო მახარაძე (ქუთ) — 13,07.

***გუნდური შედეგები. I ჯგუფი:*** 1 თბილისი I — 274 ქ, 2. ახმეტა — 251,5, 3. ქუთაისი — 234, 4. თბილისი II — 168, 5. ფოთი — 139, 6. აჭარა — 118, 7. თბილისი III — 115, 8. ოზურგეთი — 64, 9. გარდაბანი — 53, 10. ბორჯომი — 38, 11. ზუგდიდი — 14. ***II ჯგუფი:*** 1. ახალციხე — 140 ქ, 2. მარტვილი — 64, 3. საგარეჯო — 39,5, 4. მცხეთა — 32, 5. ვანი — 16, 6. ქართლი — 16, 7. რუსთავი — 16, 8. თიანეთი — 11, 9. ასპინძა — 8, 10. ხაშური — 0.

**ნინო ძავთარაძე**

**ჭიდაობა მესხეთ-ჯავახეთში**

# ახალგაზრდები იწყებენ...

სამცხე-ჯავახეთში ჭიდაობას ბევრი მოზარდი მისდევს და ამაში დიდია ეროვნული ფედერაციის რეგიონალური ფილიალის (პრეზიდენტი ზაზა ჩილინგარაშვილი) დამსახურება. აქ ხშირად ეწყობა შეჯიბრებები, როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სხვადასხვა ასაკში. ახლახან ახალციხემ უმასპინძლა ახალგაზრდების პირველობას თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიაც ადგილობრივ მოზარდთა გარდა, მონაწილეობდნენ ადიგენისა და ასპინძის რაიონების წარმომადგენლები. ბევრი მათგანისთვის ეს იყო პირველი შეჯიბრება, რჩეულთათვის პირველი გამარჯვება, პირველი საპრიზო ადგილი.

***გაგაცნობთ მათ სახელებს. 1990-91 წლებში დაბადებულნი. 20 კგ:*** 1. მანუჩარ კაჭკაჭიშვილი, 2. გიორგი გაჩეჩილაძე, 3. ლაშა კუსიანი; ***23 კგ:*** 1. იმედა ბახტურიძე, 2. გიორგი ჩილინგარაშვილი, 3. სანდრო ზედგენიძე; ***26 კგ:*** 1. ალიკ კურცხალია, 2. ილია გაჩეჩილაძე, 3. ბესიკ ხარჩილაძე; ***29 კგ:*** 1. გიორგი კუსიანი, 2. ვანო ხითარიშვილი, 3. ზურაბ შავაძე; ***32 კგ:*** 1. ვასილ ალლემაშვილი, 2. მამუკა კახიძე, 3. თორნიკე ცინაძე; ***35 კგ:*** 1. ზაზა ზედგენიძე, 2. მიხეილ შაყულაშვილი, 3. ჯაბა პაქსაძე; ***38 კგ:*** 1. ივანე აფრიამაშვილი, 2. ლევან თელიაშვილი; ***42 კგ:*** 1. ვახტანგ კიკაბიძე, 2. დავით ხვედელიძე; ***46 კგ:*** 1. გიორგი მურადაშვილი, 2. ნიკა მანჩხაშვილი, 3. მიხეილ ზედგენიძე; ***50 კგ:*** 1. გიორგი მამუკაშვილი, 2. ოთარ კაპანაძე. ***1987-89 წლებში დაბადებულნი. 35 კგ:*** 1. გოჩა საგინაძე, 2. რომან გელაშვილი, 3. თამაზ ნადირაძე; ***38 კგ:*** 1. დავით ლობჟანიძე, 2. გიორგი ლონდარიძე; ***42 კგ:*** 1. სტეფანე ანდღულაძე, 2. ალიკ შეშაბერიძე, 3. ლევან ზედგენიძე; ***46 კგ:*** 1. ვანო წამალაიძე, 2. მალხაზ ხოზრევანიძე, 3. დავით პუხაევი; ***50 კგ:*** 1. აკაკი აფრიამაშვილი, 2. ბადრი აღდგომელიძე, 3. პაატა დიასამიძე; ***54 კგ:*** 1. ზაურ ზარიძე, 2. ზვიად შანთაძე, 3. ზაურ ჯინჭველაძე; ***58 კგ:*** 1. კოტე ფირფირაშვილი, 2. მამუკა ბოლქვაძე, 3. ლაშა ხუციშვილი; ***63 კგ:*** 1. გიორგი ზედგენიძე, 2. ვიტალი ჩინჩალაძე; ***69 კგ:*** 1. მათე ჯვარიძე, 2. გიორგი გაჩეჩილაძე. ***მძიმე წონაში*** მეტოქე არ ჰყოლია შოთა ობოლაშვილს.

შეჯიბრების ორგანიზატორებს დახმარება გაუწია სასაზღვრო რაზმ „ახალციხის" მეთაურმა პოლკოვნიკმა თამაზ კილაძემ.

*„ლელოს" კორ, ახალციხე.*

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში


შეტევაზეა სულიკო დავითაშვილი (№7)

### უმაღლესი ლიგა. XX ტური

# შეტევას მიხედეთ, შეტევას!

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) – „გორდა“ (რუსთავი) 1-0**

**ლოკომოტივი: ლომაია, ზ. ლაცაბიძე, ცხადაძე, მანჩხავა (არუდაშვილი 72), ბალაშვილი, გელა ქორიძე, სირაძე, ონიანი (დათვაძე 46), გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (ქარდავა 80), დავითაშვილი.**

**გორდა: ბათიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ბერიძე, ჰანკოტაძე, მონასელიძე, ებრალიძე, ზურაб ლაბაძე, მელაძე (ზვიად ლაბაძე 73), ჭელაძე (კიტეიშვილი 80), დ. გოდერძიშვილი (რეხვიაშვილი 68), ხუროძე.**

***გოლი:* 1-0 დავითაშვილი (54).**

***გაფრთხილეს:* ჰანკოტაძე, მელაძე, გოგიჩაიშვილი.**

***მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი).**

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი კაციაც და ცხადაძეც ფეხბურთელთა შეტევაში სუსტ თამაშზე ლაპარაკობდა. რუსთაველთა თავკაცმა დაუფარავად აღნიშნა: „გუნდი შეუთამაშებელია, განსაკუთრებით შეტევაში“ — „გოლის გრძნობა გვაკლიაო“ — მხარი აუბა კოლეგას რკინიგზელთა მეთაურმა. მწვრთნელთა სიტყვების სიმართლე მატჩმაც დაადასტურა. მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ ხიფათს სტუმართა კართან ვერ ქმნიდნენ. მათ იერიშებს ბოლო ფაზაში აშკარად აკლდა სიზუსტე. პირველ ტაიმში „გორდამ“ გაუძლო „ლოკომოტივის“ ზეწოლას, თვითონაც ცდილობდა შეტევა განეხორციელებინა, მაგრამ ლომაიას სიმშვიდე ვერაფრით დაურღვია. მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა, პირიქით, მატჩი ცალ კარში თამაშს უფრო დაემსგავსა. საბოლოოდ იმან იხეირა, ვინც უკეთ თამაშობდა. მხსნელად „ლოკომოტივს“ დავითაშვილი მოევლინა. ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი სწორედ მისი ოსტატობის შედეგია. საჯარიმოს სიახლოვეს მყოფმა, როგორც კი ბურთი მიიღო, დასარტყმელ პოზიციაზე გაიჭრა და გოლიც გაიტანა. ეს დავითაშვილის მეათე გოლია მიმდინარე ჩემპიონატში. ამ გამარჯვებით რკინიგზელებმა კიდევ უფრო გაიმყარეს ისედაც მტკიცე პოზიცია სატურნირო ცხრილში. „გორდა“ კი დამარცხდა და ფსკერზე დაეშვა.

### ბევრი რამ გაურკვეველია, ექვსეულისათვის ბრძოლა გრძელდება

ტურის ექვსი მატჩიდან უმნიშვნელო არც ერთი იყო. მაგრამ გამორჩეული და საინტერესო მათგან სამი გახლდათ. აბა, როგორ არ ვუწოდოთ ქუთაისში გამართულ მატჩს გამორჩეული, როდესაც ერთმანეთის პირისპირ „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“ დგას. გამონაკლისად, არც კვირის შეხვედრა ქცეულა. ქუთაისური კლუბი ხომ ქართულ ფეხბურთში ბოლო რამდენიმე წლის უდავო და უპირობო ლიდერია. გუნდი, რომელმაც თბილისელთა ჰეგემონიას გვარიანად შეურყია საფუძველი. მატჩიც ისეთი დაძაბული და მძიმე გამოდგა, როგორიც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. შეხვედრისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ხორვატი ივო შუშაკის გაწვრთნილ თბილისურ გუნდს პირველი სერიოზული გამოცდა უნდა ჩაებარებინა. სტუმართათვის არწაგება, ალბათ კარგი შედეგია, მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ. „დინამომ“ რთულ და ნერვულ მატჩში ფრეს მიაღწია, თუმცა, თითქმის მთელი მატჩის მანძილზე აგებდა და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება. სამწუხარო ის არის, რომ დიდი ქართული მატჩი მაყურებელთა უსაქციელობამ და აურზაურმა გააფერმკრთალა. „ტორპედო“ კვლავ პირველია, „დინამომ“ ქულა კი აიღო, მაგრამ სამშვიდობოს ჯერ ვერ გააღწია, თუმცა „ვიტ ჯორჯიასთან“ შედარებით იოლი კალენდარი აქვს და საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებას ალბათ შეძლებს. ვიტელები ვახსენეთ და აქედანვე ვთქვათ, გუნდი ზედიზედ მეორედ გაცამტვერდა. „ტორპედოსთან“ 0-3 და ახლა „კოლხეთთან“ ისევ 0-3, ძნელია ეს დამარცხებები რაიმეთი გაამართლო. ქუთაისელებმა ტყებუჩავას კარიერა შეიწირეს, კოლხებმა კლუბში მობრუნებულ იტალიელ კარნავალეს ჩაუშწარეს დებიუტი. ახლა ვიტელებმა დანარჩენი ორი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგონ, რათა საუკეთესო ექვსეულში შეღწევის უმცირესი შანსი რეალობად აქციონ, თუმცა, ამის განხორციელება, არც ისე ადვილი იქნება. რაც სეზონი განახლდა, ასევე ორჯერ დამარცხდა მეორე თბილისური გუნდი „მერანი“, თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე გადატანილმა სტრესმა ავჭალელებს მძიმე კვალი დაატყო, რაც ცხადია, შედეგებზეც აისახა. „ტორპედოს“, „ლოკომოტივს“ და ბათუმის „დინამოს“ მედლებისთვის ბრძოლაში შეუამხანაგდა ფოთის „კოლხეთი“, რომელმაც ჩინებულად გამოიყენა მასპინძლის უპირატესობა და კონკურენტთან პაექრობაში უმნიშვნელოვანესი „ქულები“ მოიპოვა. ერთ კვირაში, პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში, ალბათ საბოლოოდ დალაგდება ყველაფერი, ის ორი კლუბიც გაირკვევა, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილებს შეუერთდებიან.

ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მოიგო „სამგურალმა“, გაიმარჯვა „სიონმა“. პრინციპული მატჩი მოუგეს უშუალო კონკურენტს ზესტაფონელებმა, „მეტალურგი“ ლანჩხუთში ჩავიდა და იქიდან სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ, „გურიას“ კი ქულითაც გადაასწრო. ლიგაში დარჩენისთვის ექვსიდან ოთხი კლუბი იბრძოლებს. რომელი გუნდი შერჩება ქართულ საფეხბურთო ელიტას, ვინ შეეცილება იმერლებს, ჩემპიონის ოქროსთვის ჭიდილში, ამაზე ლაპარაკი მეორე ეტაპის დაწყებისთანავე განვაგრძნოთ.

***ლოკომოტივი — გორდა 1-0***
***სიონი — დინამო (ბთ) 1-0***
***გურია — მეტალურგი 0-3***
***კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია 3-0***
***ტორპედო — დინამო (თბ) 1-1***
***სამგურალი — მერანი 1-0***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 20 | 15 | 3 | 2 | 48-12 | 48 |
| **ლოკომოტ.** | 20 | 14 | 3 | 3 | 35-10 | 45 |
| **დინამო (ბთ)** | 20 | 10 | 4 | 6 | 28-16 | 34 |
| **კოლხ.-1913** | 20 | 10 | 4 | 6 | 31-26 | 34 |
| **მერანი** | 20 | 10 | 2 | 8 | 32-26 | 32 |
| **დინამო (თბ)** | 20 | 9 | 5 | 6 | 33-19 | 32 |
| **ვიტ ჯორჯია** | 20 | 7 | 6 | 7 | 27-29 | 27 |
| **სიონი** | 20 | 7 | 4 | 9 | 17-25 | 25 |
| **მეტალურგი** | 20 | 3 | 7 | 10 | 13-34 | 16 |
| **გურია** | 20 | 3 | 6 | 11 | 14-37 | 15 |
| **გორდა** | 20 | 3 | 4 | 13 | 16-36 | 13 |
| **სამგურალი** | 20 | 3 | 4 | 13 | 15-39 | 13 |

*ბომბარდირები:*
11 — წივწივაძე (კოლხეთი)
11 — პოროშინი (ტორპედო)
10 — დავითაშვილი (ლოკომოტივი)
9-9 — ქუთათელაძე (ტორპედო), მაჰუტაძე (დინამო ბთ), ბობოხიძე (დინამო თბ).

## ტექნიკური შედეგები

***სამგურალი — მერანი 1-0***
*სამგურალი:* ბოდოკია, ფრანგიშვილი, შეყრილაძე, დ. ჭელიძე, კოპალიანი, ჯინჭარაძე, ხაჭაპურიძე (ციკვიძე 72), დარსაძე, კ. ჯანაშია, ხუნდაძე (ქადაგიძე 85), ვაჩიბერაძე (ქობულაძე 80).
*მერანი:* ნაჭყეპია, გ. ილურიძე, კვეკვესკირი, თ. ასათიანი, ჭინჭარაული, ი. შენგელია, გაბიდაური, ბაჯელიძე, ფირცხალაიშვილი, კაკაშვილი (ივეჩიანი 77), კ. მეტრეველი. გოლი: 1-0 კ. ჯანაშია (50).
*გაფრთხილეს:* ფრანგიშვილი.
*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი).

***გურია — მეტალურგი 0-3***
*გურია:* ჩომახიძე, ქიქავა (გიორგაძე 75), განევი, ქვანია, ფაცურია (იმნაიშვილი 64), ხუნაშვილი, მ. სალუქვაძე, კიკაჩეიშვილი (ჩხარტიშვილი 58), ლ. ჩხაიძე, ნაროუშვილი, გ. ბაბუნაშვილი.
*მეტალურგი:* ა. ლაბაძე, ბაქრაძე, მერებაშვილი, მაღლაკელიძე, სულაკაძე, კობესაშვილი (ვარდიაშვილი 75), კრავეიშვილი (ორმოცაძე 81), მემარნიშვილი, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, ენდელაძე.
*გოლები:* 0-1 ენდელაძე (44), 0-2 კრავეიშვილი (68), 0-3 ენდელაძე (81).
*გაფრთხილეს:* გაბრიჭიძე.
*მსაჯი:* პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

***სიონი — დინამო (ბთ) 1-0***
*სიონი:* ვოლკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, კარიაული, კ. გოდერძიშვილი, ნინუა, ხუჭუა, მოსეშვილი (მინაშვილი 82), ბ. შენგელია (მინდიაშვილი 55), გაბისკირია (შაკიაშვილი 89), გიორგი ქორიძე.
*დინამო:* ჰანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, ჩიჩუა, ქაცარავა (აფხაზავა 65), ხუჯაძე, დ. ჯანაშია, დარჩიძე, თურმანიძე, მაჰუტაძე, ტულუში.
*გოლი:* 1-0 ხუჭუა (16).
*გაფრთხილეს:* გაბისკირია, შაკიაშვილი, ხუჯაძე.
*მსაჯი:* ა. ორდინიძე (ონი).

***კოლხეთი1913 — ვიტ ჯორჯია 3-0***
*კოლხეთი:* მ. გვასალია, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, წივწივაძე, ფანჩულიძე, კვირკველია, ქუტიძე, კვეტენაძე, ოდიკაძე (ჭანტურიძე 69), ნარსია, დაუშვილი.
*ვიტ ჯორჯია:* ჭურაძე, ლაშა ნოზაძე, ინწკირველი (ზაზაშვილი 78), მუჯირი, ადამია, გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 75), თედორაძე, ზ. მეტრეველი, გველესიანი (გოცირიძე 57), წუწუნავა, მელქაძე.
*გოლები:* 1-0 წივწივაძე (18), 2-0 დაუშვილი (33), 3-0 ქუტიძე (90).
*გაფრთხილეს:* ფანჩულიძე, მუჯირი, წუწუნავა.
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

***ტორპედო — დინამო (თბ) 1-1***
*ტორპედო:* ტოგონიძე, აბრამიძე, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, იონანიძე (ახალკაცი 83), ქუთათელაძე (ლაშა ჭელიძე 76), პოროშინი, შ. ბაბუნაშვილი, მ. ასათიანი (გამეზარდაშვილი 87).
*დინამო:* ზოიძე, კარლოსი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, მანწკავა (კანდელაკი 90), გ. მიქაძე (ბობოხიძე 66), ანჩაბაძე.
*გოლები:* 1-0 პოროშინი (45), 1-1 ბობოხიძე (90).
*გაფრთხილეს:* დიდავა, პოროშინი, მიქაძე, ანჩაბაძე, მანწკავა.
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი).

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს გივი ხოჭოლავას ძმის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი სამძიმარს უცხადებს თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს გივი ხოჭოლავას ძმის გარდაცვალების გამო.**

## ქ. ბორჯომში შეკრებაზე მყოფი ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების მიმართვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი

**ბატონო მერაბ!**

ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯები ყოველთვის ვგრძნობთ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისა და პირადად თქვენს დიდ მხარდაჭერას და ყურადღებას. სფფ-ს პრეზიდენტად თქვენი არჩევის დღიდან, სამსაჯო სფეროში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. თქვენი ძალისხმევით სისტემატურად ტარდება შეკრება-სემინარები მსაჯებისათვის ფიფა-სა და უეფა-ს ეგიდით. ამის შედეგია, რომ 2002 წელს საქართველოს ჰყავს ფიფა-ს სამი არბიტრი, რვა ასისტენტი და „ფუტზალის“ ორი არბიტრი, რომლებიც საერთაშორისო მატჩებს საკმაო წარმატებით ატარებენ.

მსაჯები უზრუნველყოფილნი ვართ თანამედროვე სამსაჯო ფორმით და ყველა საჭირო ინვენტარით, შესაბამისი ვიდეო-მასალით, სათანადო ლიტერატურით, საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით, რაც მსაჯობის დონის სათანადო ხარისხის გარანტიაა.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი, ფიფა-ს არბიტრის ა. მილჩენკოს ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს სამსაჯო კორპუსის თანამედროვე დონეზე მომზადებისათვის. სისტემატურად ტარდება შეკრება-სემინარები, შემუშავდა და გამოიცა სათანადო ლიტერატურა მსაჯებისა და ინსპექტორებისათვის. დიდი მუშაობა მიმდინარეობს მსაჯების ახალი კადრების მომზადებისათვის.

ჩვენ მივესალმებით თქვენს გადაწყვეტილებას სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე თქვენი კანდიდატურის წამოყენების შესახებ. ღრმად ვართ დარწმუნებული თქვენს წარმატებაში და იმედი გვაქვს, რომ კვლავაც გააგრძელებთ თქვენს დაწყებულ საქმეს ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად.

ჩვენი მხრიდან ვეცდებით ყველა მატჩი სათანადო — კვალიფიციურ დონეზე ჩავატაროთ და გვერდში ამოგიდგეთ ქართული ფეხბურთის შემდგომი აღორძინებისათვის ნაყოფიერ საქმიანობაში.

მიიღეთ ჩვენი მხარდაჭერა და თანადგომა.

გისურვებთ წარმატებას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში!

შეკრების მონაწილეთა სახელით და თქვენდამი ღრმა პატივისცემით:
**ს. კვარაცხელია, მ. მალაღურაძე, ა. შილაკაძე, ა. შალამბერიძე, ა. მეშკოვი, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი, კ. მესხი, ი. კახიანი, გ. ჩიგოგიძე, ა. სამხარაძე, ზ. ანიაშვილი, დ. სანაია.**

### პირველი ლიგა, XX ტური

# ლიდერთა ზავი

ლიგისა და ტურის უმთავრესი მატჩი გორში ჩატარდა. „დილა“ და „მილანი“ დაზავდნენ — მატჩი 2-2 დასრულდა. ამით უმალ ისარგებლა არდადეგებზე მომძლავრებულმა თსუ-მ. სამეგრელოში მოპოვებული სამი ქულით სტუდენტთა გუნდი კვალში უდგას გორელებს. სიურპრიზად შეიძლება ჩაითვალოს ცხინვალელთა მარცხი შინაურ მატჩში რკინიგზელებთან. „ლოკომოტივმა“ უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო, მეტოქეს გაუსწრო და ახლა მეხუთეა. თბილისში „მერანი2“-ის დამარცხებით ლიდერებს შესამჩნევად მიუახლოვდა „ქობულეთი“. პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. სატურნირო ვითარება კი დაძაბული და საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ლიგის საუკეთესო ექვსეული კარგახნის გარკვეულია, მეორე ეტაპზე ჩასათვლელი ქულებისთვის ბრძოლა არ დამთავრებულა. ცხრილში აღბეჭდილი სიმჭიდროვე კლუბების თანაბარძალოვნებაზე მიუთითებს. მთავარი და გადამწყვეტი მატჩები ჯერ წინაა.

***ცხინვალი — ლოკომოტივი3 0-1***
***დინამო2 — ლოკომოტივი (სამტრ) 3-0***
***მერანი2 — ქობულეთი 0-1***
***ლაზიკა — თსუ 0-3***
***დილა - მილანი 2-2***
***თორი - კოლხეთი (ხ) 0-3***

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 20 | 13 | 4 | 3 | 48-13 | 43 |
| **თსუ** | 20 | 13 | 3 | 4 | 36-12 | 42 |
| **მილანი** | 20 | 11 | 7 | 2 | 43-18 | 40 |
| **ქობულეთი** | 20 | 11 | 5 | 4 | 26-16 | 38 |
| **ლოკომ.3** | 20 | 10 | 6 | 4 | 34-20 | 36 |
| **ცხინვალი** | 20 | 10 | 3 | 7 | 38-25 | 33 |
| **დინ.2 (თბ)** | 20 | 9 | 1 | 10 | 21-22 | 28 |
| **ლაზიკა** | 20 | 6 | 4 | 10 | 24-37 | 22 |
| **კოლხეთი (ხ)** | 20 | 4 | 7 | 9 | 20-32 | 19 |
| **მერანი2** | 20 | 5 | 1 | 14 | 15-38 | 16 |
| **ლოკ.(სამტრ)** | 20 | 3 | 4 | 13 | 14-39 | 13 |
| **თორი** | 20 | 2 | 1 | 17 | 15-62 | 7 |

## ჩვენი მეტოქე

# „ბაფანა ბაფანა“ თბილისში ჩამოდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისათვის მზადების გეგმაზე უკვე კარგა ხანია მუშაობა დაიწყო. ცოტა ხნის წინათ, ფედერაციის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა ბრაზილიელ კოლეგებს ამ ქვეყნის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვაზე. მართალია, ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრა ჩვენი ფეხბურთელებისთვის დიდი პატივი იქნებოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელები, ქართველებს, მათ ქვეყანაში ჩასვლას სთავაზობდნენ მეტად არახელსაყრელ ვადებში, კერძოდ, მაშინ, როცა ფიფას განრიგით არ არის რეკომენდებული სანაკრებო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩატარება, რაც თავისთავად ლეგიონერების მიწვევას გამორიცხავს. ხოლო საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებით ბრაზილიელებთან პაექრობა ნამდვილად არასასურველი იქნებოდა.

ახლახან გაირკვა, რომ 27 მარტს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ფეხბურთის გულშემატკივრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეს – სამხრეთ აფრიკის ნაკრებს იხილავენ, დიახ, სამხრეთაფრიკელებმა თავად აირჩიეს სპარინგ-პარტნიორად საქართველოს ნაკრები.

უკვე გაირკვა ისიც თუ რა შემადგენლობით ესტუმრება თბილისს „ბაფანა-ბაფანა“:

*მეკარეები:* ანდრე ამასი („სანტოსი“), ბრაიან ბალი („კაიზერ ჩიფსი“), იოჰან ვონკი („ჰერენვენი“).

*მცველები:* მეტიუ ბუტი („მამელოდი“), ბრედლ კარნელი („შტუტგარტი“), პიერ ისა („უოტფორდი“), დევიდ კინემაიერი („კაიზერ ჩიფსი“), ემბელეო მაბიზელი („ორლანდო პორეტსი“), აირონ მაკოენა („ბეერსხოტი“), იაკობ ლეკჰეტო („ლოკომოტივი“. მოსკოვი).

*ნახევარმცველები:* ელდონ ბაკლი („ბოხუმი“), კვინტონ ფორჩუნი („ორლენდო პაირეტსი“), ტაბო მანგუნი („ლოკომოტივი“. მოსკოვი), დილიან შეპარდი („აიაქსი“, კეიპტაუნი), მაკბეტ სიბაი, („კოსმოსი“), ერიკ თინკლერი („ბარნსლი“), სიბუსისო ზუმა („კოპენჰაგენი“);

*თავდამსხმელები:* ბრედლი ოგუისტი („სანტოსი“), შონ ბარტლეტი („ჩარლტონი“), ბენი მაკარტი („პორტუ“), სიამგა ნომკეტე („უდინეზე“).

ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა შემადგენლობით დაუხვდება საქართველოს ნაკრები სამხრეთაფრიკელებს. გარკვეულია ის, რომ 27 მარტს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან ძმები არველაძეები, ნემსაძე, ხიზანიშვილი და ყაველაშვილი, რომლებსაც ტრავმები აწუხებთ.

საქართველოს ნაკრები მიმდევნო ამხანაგურ მატჩს გამართავს 17 აპრილს კიევში, უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ, ხოლო 20 აგვისტოს ქართველი ფეხბურთელები ტალინში ეწვევიან ესტონეთის გუნდს.

**თენგიზ ჩობანიძე**

## ჩემპიონთა ლიგა

### უეფამ დაასახელა ჩემპიონთა ლიგის 12–13 მარტს გასამართი მატჩების მსაჯები

***პორტუ — პანათინაიკოსი***
მსაჯი: ლიუბოშ მიჰალი (სლოვაკეთი).

***რეალი — სპარტა***
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

***არსენალი — დეპორტივო***
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

***ლევერკუზენი — იუვენტუსი***
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (შვედეთი)

***მანჩესტერი — ბავარია***
მსაჯი: ჟილ ვესერი (საფრანგეთი)

***ნანტი — ბოავიშტა***
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

***ბარსელონა — ლივერპული***
მსაჯი: კიროსი ვასარასი (საბერძნეთი)

***რომა — გალათასარაი***
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი).

## ბავშვთა ფეხბურთი...



*«მართვე». I რიგში (მარცხნიდან): პ. ბუცხრიკიძე, გ. ხიდაშელი, დ. თალაკვაძე, ლ. ხომასურიძე, ო. პაპელიშვილი, ა. გოროზიანი, ზ. კალანდარიშვილი, ბ. ბუცხრიკიძე. დგანან: ბ. ბილიხოძე, ნ. ლომიძე, ლ. ჭილაძე, კ. ხუნდაძე, ლ. გოგოლაური, ი. ესიაშვილი, გ. ჩხიტუნიძე, ლ. ბასიკაშვილი, ბ. შეყილაძე, გ. ღვაბერიძე, ს. მულაძე. მესამე რიგში: ზ. სულთანიშვილი, ტ. კანდელაკი (მთავარი მწვრთნელი).*



*ტურნირში გამარჯვებული «შევარდენი». მარცხნიდან (I რიგში): დ. ქაჯაია, უ. გოგოლაძე, ნ. ცნობილაძე, გ. ოთარაშვილი, გ. ოთარაშვილი, ლ. ლომიძე, ს. ლამბაშიძე, დ. დანდურიშვილი, ნ. ჯალაღანია, გ. მამუჩიშვილი, ა. ნამჩევაძე. დგანან: რ. ნაცვლიშვილი, დ. მენაფირე, გ. ანდრიაძე, გ. გეთიაშვილი, ზ. მანძულაშვილი, რ. წერეთელი (მწვრთნელი), ც. პაპაშვილი, ა. კოტრიკაძე, თ. მინდიაშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, მ. მირცხულავა.*

„გეორგიას“ სტადიონზე ჩატარდა ჭაბუკ ფეხბურთელთა დიდი ტურნირი „გაზაფხულის თასი“. 1988 წლიანთა შეჯიბრებაში 26 გუნდს შორის ფინალში „მართვემ“ პენალტების სერიით 7-6 სძლია ნორჩ „დინამოს“ (მწვრთნელი ტარიელ კანდელაკი). მესამე ადგილზე გავიდა თემქის გუნდი.

1990 წლიანებში 14 გუნდი იბრძოდა პირველობისთვის. ფინალში ფრედ 1-1 დასრულდა „შევარდენისა“ (მწვრთ. რეზო წერეთელი) და „დერბის“ მატჩი. პენალტებით 4-3 გაიმარჯვა „შევარდენმა“. III ადგილი დაიკავა „გეორგიამ“, რომელმაც 4-1 სძლია „ნორჩ დინამოს“.

## ფეხბურთის ვარსკვლავები

# ჯორჯ ბესტი

თუ სიტყვა ჩამოვარდება ბუნების მიერ მომადლებული ნიჭით დაჯილდოებულ ფეხბურთის „ვარსკვლავებზე“... გარინჩას, სტრელცოვის, მარადონას... გვერდით აღნიშვნის ღირსია ჩრდილოეთ ირლანდიელი ჯორჯ ბესტი... რომელიც სრულიად ახალგაზრდა გაიცნო საფეხბურთო სამყარომ ამ სამი ათეული წლის წინათ. 1996 წელს ფეხბურთის სამშობლო ინგლისში რეფერენდუმი ჩატარდა. ფეხბურთის მოყვარულთ უნდა დაესახელებინათ ამ ქვეყნის ყველა დროის პოპულარული ფეხბურთელი. გაიმარჯვა ჯორჯ ბესტმა, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო ბრიტანული ფეხბურთის ყველა სხვა გრანდს.



ჯორჯ ბესტის საფეხბურთო კარიერა 1961 წელს შედგა ინგლისის ერთ-ერთ პოპულარულ საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედში“ – სადაც მან 1974 წლის ბოლომდე 466 მატჩი ჩაატარა და გაიტანა 178 გოლი. ჯორჯ ბესტმა დაისაკუთრა 1965 და 196[illegible] წლებში ინგლისის ჩემპიონის ტიტული. 1968 წელს იგი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელიც გახდა. ინგლისის ჩემპიონატში გაიტანა 28 გოლი და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება დაისაკუთრა.

ყოველკვირეულ „ფრანს-ფუტბოლის“ მიერ მოწყობილ ყოველწლიურ გამოკითხვაში ბესტი 1968 წლის შედეგებით პირველ ადგილზე გამოვიდა და „ოქროს ბურთი“ დაისაკუთრა.

ჯორჯ ბესტს ეკუთვნის ქვეყნის რეკორდი, რომელიც მან 1970 წელს დაამყარა – ინგლისის თასის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში, „ნორტჰემპტონის“ კარში 6 ბურთი გაიტანა – ეს შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ანგარიშით 8-2 მოიგო. მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბესტმა „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვა, იგი, ასე ვთქვათ, მომთაბარე ფეხბურთელად იქცა და 10 წლის განმავლობაში, კაცმა არ იცის, ევროპის და ამერიკის რამდენი კლუბი გამოიცვალა. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში ჯორჯ ბესტმა 37 მატჩი ჩაატარა და გაიტანა 9 გოლი. სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებში გამოსვლას უკავშირდება ჯორჯ ბესტის ნაცნობობა ცნობილ ქართველ ფეხბურთელ რევაზ ძოძუაშვილთან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა მარჯვენა მცველის პოზიციაზე და არც თუ ურიგოდ ითამაშა მის წინააღმდეგ.

კითხვაზე, თუ რომელი მატჩი იყო ყველაზე ღირსსახსოვარი მის საფეხბურთო კარიერაში, ჯორჯ ბესტმა აღნიშნა ევროპის ჩემპიონთა თასზე მატჩი 1968 წელს ლისაბონის „ბენფიკასთან“ – ამ შეხვედრის ძირითადი დრო 1-1 დამთავრდა. დამატებით დროში ბესტის მიერ გატანილმა გოლმა ფარ-ხმალი დააყრევინა „ბენფიკას“ და საპატიო ჯილდოს „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაეუფლა – 4-1. ჯორჯ ბესტს გული სწყდება, რომ მსოფლიო პირველობის არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა. ჯორჯ ბესტი გულშემატკივართა ნამდვილი კერპი გახლდათ. ამას გარდა იგი ასევე კერპი გახლდათ სტადიონზე მოსული ლამაზმანებისა, რომელთაც მის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდიოდათ.

ჯორჯ ბესტს, ისე როგორც ბევრ ფეხბურთის „ვარსკვლავს“, წარმატებებმა თავბრუ დაახვია, წვრთნისა და საყოფაცხოვრებო რეჟიმის სისტემატური დარღვევის შედეგად, იგი ძალზე ახალგაზრდა გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს, ისე რომ, მწვრთნელობაზე და კომენტატორობაზე არც კი უფიქრია. გერდ მიულერის მსგავსად, მანაც შეძლო საკუთარ თავზე გამარჯვება. დააღწია რა თავი ლოთობასა და ქრონიკულ ალკოჰოლიზმს, – ფეხბურთელის ამ დაუძინებელ მტერს.

*სურათზე: მარცხნიდან – ჯორჯ ბესტი და პელე აშშ-ს ლიგაში ასპარეზობის დროს*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ბლატერი დაჟინებით მოითხოვს ფიფას აუდიტორულ შემოწმებას

